# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 440

„23" სექტემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.029.104) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ. 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქ. №28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.029.104) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1526.1732 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №28-66-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2288 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.029.104) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კონსტანტინე ხიდირბეგიშვილისთვის (პ/ნ. 01008038231) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 144 (ასი ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე